

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №8, 25.03.2004, მუხ. 38) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 55-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„1. დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზნით პარლამენტის თავმჯდომარე, კომიტეტი, ფრაქცია ან პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედი უფლებამოსილია სათანადო წერილობითი დასაბუთების წარდგენით დააყენოს დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი. პარლამენტი აღნიშნული წინადადების მიზანშეწონილობას კენჭს უყრის პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა. თუ წინადადება მიღებულია, მაშინ კენჭისყრაზე დგება დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილების პროექტი.“

2. 73-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„1. პარლამენტის თავმჯდომარე, კომიტეტი, ფრაქცია ან პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედი უფლებამოსილია სათანადო წერილობითი დასაბუთების წარდგენით დააყენოს დროებითი კომისიის შექმნის საკითხი. პარლამენტი კენჭს უყრის აღნიშნული წინადადების მიზანშეწონილობას. თუ წინადადებას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სიითი შემადგენლობის ერთი მეხუთედისა, კენჭისყრაზე დგება დროებითი კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილების პროექტი.“

3. 165-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„1. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის განხილვისას დგება სხდომის ოქმი და სტენოგრამა. პარლამენტის ღია პლენარული სხდომის ოქმი საჯაროა, ის შეიძლება გამოქვეყნდეს „პარლამენტის უწყებანში“ და განთავსდეს პარლამენტის ინტერნეტ-გვერდზე.“

4. 191-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„1. პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 10 წლის ვადით ირჩევს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 3 წევრს.“

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.